

რ ე ც ე ნ ზ ი ა

ნიკოლოზ ნახუცრიშვილი

დავუდალი სეფიანი „დიდი ფერეიდანის გეოგრაფია“ გამომცემლობა „გორჯი“, ფულადშაჰრი, 1403 (2025)

ფერეიდნელი ქართველი, დოქტორი დავუდალი სეფიანი არის ირანის თავისუფალი ისლამური უნივერსიტეტის არქიტექტურისა და ურბანიზაციის კათედრისა და ფაიამე ნურის უნივერსიტეტის გეოგრაფიის კათედრის ლექტორი. მისი ნაშრომი „დიდი ფერეიდანის გეოგრაფია“¹ აგრძელებს ირანში მცხოვრები ქართველი მკვლევრების ტრადიციას, რომელიც გულისხმობს ირანში ქართველებით დასახლებული რეგიონებისა თუ ცალკეული ქალაქებისა და სოფლების გეოგრაფიის, ისტორიის, კულტურისა და ეთნოგრაფიის შესწავლას. ჩვენთვის ცნობილი პირველი ასეთი ნაშრომი, რომელიც ფერეიდანს ეხება, 1979 წელს დაწერა და გამოსცა ფერეიდნელმა ქართველმა მოჰამად სეფიანმა.² მას შემდეგ მრავალი წიგნი და ბროშურა დაიბეჭდა ირანელი ქართველების მიერ, რომელთა შესახებ მკითხველი ინფორმაციას მიიღებს გრიგოლ ბერაძისა და ნიკოლოზ ნახუცრიშვილის სტატიიდან.³

აქვე აღვნიშნავ, რომ წიგნის ბიბლიოგრაფიაში, გარდა მოჰამად სეფიანის ზემოხსენებული ნაშრომისა, ირანელი ქართველების სხვა არცერთი ნაშრომი არაა გამოყენებული ან მითითებული, ისევე როგორც, ჩემი აზრით, ისტორიულ ჭრილში აუცილებლად გამოსადეგი ჰოსეინალი რაზმარას რედაქტორობით 10 ტომად გამოცემული „ირანის გეოგრაფიული ლექსიკონი“,⁴ რომელიც შეიცავს ცნობებს ირანში ქართული დასახლებების შესახებ მეოცე საუკუნის 40-50-იანი წლების მდგომარეობით.

განსახილველი წიგნი შედგება ორი ნაწილისაგან. პირველ უსათაურო ნაწილში შეიცავს 5 თავს: 1. მხარის ფიზიკური გეოგრაფია; 2. ისტორიული გეოგრაფია; 3. სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა და თევზის რეწვა; 4. განათლება; 5. გეოგრაფიული მდებარეობის მოკლე მიმოხილვა. წიგნის მეორე ნაწილის

¹ Sepiāni, Dāvud ‘Āli, Joqrāfiā-ye Faridan-e bozorg, Fulādšahr, Entešārāt-e Gorji, 1403 (2025).

² Sepiāni, Mohammad. Irāniān-e gorji, Esfahān: Ketābforuši-e Ārāš, 1358 (1979).

³ გრიგოლ ბერაძე, ნიკოლოზ ნახუცრიშვილი. საქართველოს, ქართველების და ირან-საქართველოს

ურთიერთობის შესახებ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში უკანასკნელ პერიოდში (2000-2021 წწ.) გამოქვეყნებული სპარსულენოვანი წიგნების ანოტირებული ბიბლიოგრაფია. კრებულში „ახალი მასალები საქართველოს შესახებ ირანის არქივებსა და ბიბლიოთეკებში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2022. გვ.539-566.

⁴ Farhang-e Joqrāfiā-ye Irān, Tehrān: Entešārāt-e dāere-ye joqrāfiā-ye setād-e ārteš. 1328-1332 (1949-1954).

სათაურია „ფერეიდნის მხარის განვითარება“. ნაშრომის ბიბლიოგრაფია შეიცავს 60 დასახელებას სპარსულ ენაზე და 18-ს ინგლისურ ენაზე.

ტერმინი „დიდი ფერეიდანი“ ქართველი მკითხველისათვის განმარტებას საჭიროებს, რომლისთვისაც მხოლოდ „ფერეიდანი“ ასოცირდება ისპაჰანის პროვინციის ამ ნაწილის ქართულ დასახლებებთან. „დიდი ფერეიდანი“ კი წარმოადგენს 4 რაიონის (შაჰრესთანის) ერთობლიობას, რომლის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ქართული წარმოშობისაა და ქართულენოვანია. ეს რაიონებია 1. ფარიდანი (რაიონული ცენტრი ქალაქი დარანი); 2. ფერეიდუნშაჰრი (რაიონული ცენტრი ქალაქი ფერეიდუნშაჰრი); 3. ჩადეგანი (რაიონული ცენტრი ქალაქი ჩადეგანი); 4. ბოინ-მიანდაშთი (რაიონული ცენტრი ქალაქი ბოინ-მიანდაშთი). ისპაჰანის პროვინციის ტერიტორიის 106179 კვადრატული კილომეტრიდან დიდ ფერეიდანს სულ 5392 კვ.კმ. უკავია.

წიგნში მოტანილია საინტერესო და მრავალფეროვანი მონაცემები დიდი ფერეიდანის კლიმატის, ფლორისა და ფაუნის, წყლის რესურსების, წიაღისეულის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის შესახებ, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა დიდი ფერეიდანის მოსახლეობის, ენისა და კულტურის ამსახველი ნაწილი.

ავტორის თქმით, „ფერეიდანის რეგიონის მოსახლეობას შეადგენენ ქართველები, ბახტიარები, სომხები, ყაშყაელები, სპარსულენოვანები და აზერები. 1964 წელს დონალდ სტილოს (Donald Stilo) მიერ ჩატარებული საველე გამოკვლევების შედეგების მიხედვით, ფერეიდანის რეგიონის 11 სოფელში ქართულად ლაპარაკობდნენ და იმავე რაოდენობის სოფლებში სომხური ენა ისმოდა. ამ ორი ჯგუფის ისტორია, ისევე, როგორც ჯუღფის სომხებისა, ჩადის შაჰ აბას დიდის ზეობის დრომდე, მაგრამ 1970-იან წლებში ირანში განვითარებული ფართო მოვლენების კვალად ფერეიდნის სომეხთა უმეტესობა კოლექტიურად გადასახლდა დიდ ქალაქებში“ (გვ.52). ამ ციტატას არ ახლავს წყაროს მითითება, ნახსენებია მხოლოდ ცნობილი ამერიკელ-ჰოლანდიელი ირანისტი დონალდ სტილო, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, ჯერ კიდევ სტუდენტი, მართლაც იკვლევდა ფერეიდანის ენობრივ სიტუაციას, რისთვისაც წინასწარ თეირანში ეუფლებოდა ქართულ ენას ქუთაისში დაბადებულ და ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ ირანში ემიგრირებულ კათოლიკე ანტუან (ანტონ) კომპანიონისთან. დ. სტილოს ეს ფაქტი აღწერილი აქვს თავის სტატიამ „A Young American learns Georgian from a Extraordinary Man“. ⁵ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დ.სტილოს შენახული აქვს თავისი საველე სამუშაოების აუდიოჩანაწერები (ამჟამად გაციფრულებული), სადაც ისმის იმ პერიოდის ფერეიდნული ქართული, და რაც კიდევ უფრო საინტერესოა, თავად ა.კომპანიონის ხმის ჩანაწერი, სადაც ის სასაუბრო ქართულის მასალას აწვდის თავის მოწაფეს. რაც შეეხება დ.სეფიანის ციტატას, ის აღებული უნდა იყოს „Encyclopædia Iranica“-დან, სადაც ციტირებულია Donald Stilo, unpublished field notes collected in Isfahan, 1964. ⁶

⁵ სტატიების კრებულში: „ქართველები თეირანის დულაბის ქრისტიანულ სასაფლაოზე“ (ნ.ნახუცრიშვილისა და გ.სანიკიძის რედაქციით). ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2019. გვ.118-122. ამავე კრებულში დაინტერესებული მკითხველი ნახავს ვრცელ მასალას კომპანიონების ოჯახის ისტორიის შესახებ.

⁶ <https://www.iranicaonline.org/articles/isfahan-xxi-provincial-dialects/>

დ. სეფიანი ქართველების შესახებ წერს: „ისპაჰანის ქართველები შაჰ აბასის დროს ჯერ ისპაჰანის აბასაბადში დასახლდნენ, ხოლო შეიხ ბაჰაის მიერ ნაჯაფაბადის დაარსების შემდეგ, იქ გადავიდნენ. შაჰ აბასის ბრძანებით, მებრძოლი სულისკვეთების მქონე ქართველთა ერთი ნაწილი დედაქალაქ ისპაჰანის ლურების თავდასხმებისაგან დაცვის მიზნით და ასევე ხელსაყრელი კლიმატის, მიწისა და სანადირო ადგილების გათვალისწინებით, გადავიდა ფერეიდანში. იქ ჩასულმა ქართველებმა პირველ რიგში დააარსეს ქალაქი აფუსი, რასაც შემდგომ მოჰყვა ფერეიდუნშაჰრის (სოფელი) და მიანდაშთის (თორელი) დაარსება. გარდა ამისა, ერთი ნაწილი ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნების მიზნით აფუსიდან გადასახლდა სოფელ დამქესანში, სადაც ფანატიკოსი ქრისტიანი სომხები ცხოვრობდნენ. ასევე, ქართველებმა დააარსეს დასახლებები აღჩე და ბოინი, თუმცა მათი დაარსების მიზეზები უცნობია. ფერეიდუნშაჰრის ქართველებზე ქერიმ-ხან ზენდის თავდასხმის შემდეგ ქართველთა გარკვეული ჯგუფები გადასახლდნენ სიბაქში, ჩოდიურთსა და ნეზჰათაბადში. ფერეიდუნშაჰრში მცხოვრები ქართველების ერთი ნაწილი ამჟამად სოფელ სადეყიში ბინადრობს. არაოფიციალური კვლევების მიხედვით, ფერეიდნის ქართული მოსახლეობა დაახლოებით 100,000 ადამიანია.⁷ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბოლო წლებში ქართველთა გარკვეული რაოდენობა ამ რეგიონიდან გადაბარგდა ირანის სხვა ქალაქებში, მათ შორის, ისპაჰანსა და თეირანში“ (გვ.53-54).

ფერეიდნის სომხური მოსახლეობის შესახებ კი ავტორი შემდეგს წერს: „ფერეიდანში სომხების მიერ დაარსებული დაახლოებით 20 სოფლიდან, ამჟამად მხოლოდ სომხებით დასახლებული სოფელი ზარნეა შემორჩენილი ბოინ-მიანდაშთის რაიონში და კიდევ რამდენიმე სომხური კომლი ბინადრობს სოფელ ზემო ხოიგანში, რომელიც ერთადერთი სოფელია ირანში, სადაც სამი ეკლესია დგას“ (გვ.55).

საინტერესო ფაქტობრივ მასალას ფერეიდნის მხარის 4 რაიონის (ფერეიდუნშაჰრი, ჩადეგანი, ბოინ-მიანდაშთი და დარანი) დასახლებების, კლიმატის, ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკის შესახებ იძლევა ნაშრომის პირველი ნაწილის მეხუთე თავი (გვ.78-119).

წიგნის მეორე ნაწილი კი ფერეიდნის მხარის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების საკითხებს ეხება. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ფერეიდნის ტურისტული პოტენციალის უკეთ გამოყენებაზე. კერძოდ, ავტორი ავითარებს აზრს, რომ ირანის ყველაზე მნიშვნელოვან ტურისტულ ქალაქ ისპაჰანთან ამ მხარის სიახლოვე იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფერეიდანის ისტორიული და ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები მოექცეს ისპაჰანის პროვინციის ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტულ მარშრუტებში (გვ.121-164).

სარეცენზიო წიგნის ნაკლად უნდა ჩაითვალოს ბექდვის უხარისხობა (რამდენიმე ადგილას დარღვეულია გვერდების ნუმერაცია), მრავალი

⁷ ეს ციფრი წარმოშობით ქართველთა რაოდენობას უნდა აღნიშნავდეს, რადგან ფერეიდნელი ქართველი მკვლევრის საიდ მულიანის ანგარიშით, ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ფერეიდანში ქართულად დაახლოებით 16 ათასი ადამიანი მეტყველებდა. ახლა ეს რაოდენობა კიდევ უფრო შემცირებული უნდა იყოს.

კორექტურული შეცდომა ბიბლიოგრაფიაში, განსაკუთრებით, მის ინგლისურ ნაწილში.

მთლიანობაში დაზუდალი სეფიანის ნაშრომი გამოსადეგია ფერეიდნის მოსახლეობის, გეოგრაფიის, ეკონომიკისა და სხვა დაკავშირებული საკითხების სამეცნიერო კვლევისათვის, როგორც ირანელი (ფერეიდნელი) ქართველი მეცნიერის მიერ შექმნილი ახალი წყარო.

